Bakhvi HPP	შპს “სი-სი-ეიჩ ჰაიდრო VI”

ბახვი 1 ჰესი

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა

მომზადებულია:

შპს “სი-სი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ის მიერ

2025

სარჩევი

ტერმინთა განმარტებები 3
აბრევიატურების განმარტება 3
შესავალი 4
დოკუმენტის მიზანი 4
როლები და პასუხისმგებლობები 4
შესაბამისობის ჩარჩო 5
საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნები 5
საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნები 5
ერთგულება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიმართ 6
დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრა 6
დაინტერესებული მხარეების კატეგორიები 6
მოწყვლადი სტატუსის მატარებელი დაინტერესებული მხარეები: 7
დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის ღონისძიებები 9
ურთიერთობის კონკრეტული ღონისძიებები 10
საჩივრების განხილვის მექანიზმი 12
დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის რეესტრი 12
მონიტორინგი 13
გენდერული წონასწორობა ჩართულობის ჭრილში 13
დოკუმენტის გადახედვა 14
ფორმა 1: შეხვედრის ოქმი 15
ფორმა 2: საჩივრის ფორმა 16
ფორმა 3: საჩივრის პასუხის ფორმა 18

ტერმინთა განმარტებები

განმარტებები	აღწერა
კომპანია	შპს "სი-სი-ეიჩ ჰაიდრო VI"
ჰოლდინგი	კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი - CCEF
გამგებელი/რწმუნებული	სოფლის თავი/მერის წარმომადგენელი
ჩანაწერი/ოქმი	შესრულებული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი
სამუშაო მოედანი	სამშენებლო სამუშაოების არეალი
დაინტერესებული მხარე	პირი ან ჯგუფი, სამუშაო ადგილზე ან მის ფარგლებს გარეთ, რომელიც დაინტერესებულია, ან რომელზეც გავლენას ახდენს ორგანიზაციის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საქმიანობის მაჩვენებლები და გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის მაჩვენებლები
მესამე მხარე	სამუშაოსთან დაკავშირებული პირი, მაგრამ არა ჩვენი კომპანიის უშუალო დასაქმებული

აბრევიატურების განმარტება

HPP/ჰესი	ჰიდროელექტრო სადგური
E&S	გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები
H&S	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
NGO's	არასამთავრობო ორგანიზაციები
NCR	შეუსაბამობის ანგარიში
SEP	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

შესავალი

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ (შემდგომში - „კომპანია“) გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ მდინარე ბახვისწყალზე ახორციელებს ჯამური 10.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1“ ჰესის მშენებლობას. კომპანიის ინვესტორები არიან „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი“ (სი-სი-ი-ეიჩ), ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ და სხვა სპეციალიზებული ინვესტორები ავსტრიიდან და საქართველოდან. „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის“ ინვესტორები კი თავის მხრივ, არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამერიკიდან და ევროპული ქვეყნებიდან (მათ შორის - ევროპის საინვესტიციო ბანკი [EIB], ჰოლანდიის განვითარების ბანკი [FMO], ავსტრიის განვითარების ბანკი [OeEB] და სხვა). აღსანიშნავია, რომ ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ ფლობს მრავალფეროვან ბიზნეს პორტფელს რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში.

ბახვი 1 ჰესის მშენებლობა მიმდინარეობს მდ.ბახვისწყლის 1 735 და 1 383 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. გათვალისწინებულია მდ.ბახვისწყლის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის მშენებლობა, რომლის შემადგენლობაშია სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი და მიწისზედა ჰესის შენობა. ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება 10.9 მგვტ, ხოლო საპროექტო ხარჯი - 4მ^3/წმ. სათავე ნაგებობა განთავსდება მდ.ბახვისწყლისა და მდ.ბაისურას ღელეს შესართავიდან 250 მ-ით ქვემოთ. შეტბორვის დონეა ზღვის დონიდან 1731.70 მ, ხოლო ჰესის შენობის ქვედა ბიეფის ნიშნული ზღვის დონიდან - 1383.0 მ.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI” საკუთარ საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების IFC-ისა და EIB-ის მიერ დადგენილი გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

დოკუმენტის მიზანი

მოცემული დაინტერესებულ მხარეების ჩართულობის გეგმის მიზანია უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროვება, პროექტით დაინტერესებული ყველა მხარისთვის. მოცემული გეგმა, ასევე მოიცავს საჩივრების მექანიზმს, რომელიც მიზნად ისახავს, დაინტერესებულ მხარეს შესთავაზოს მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების ეფექტური და დროული გადაჭრის გზები.

როლები და პასუხისმგებლობები

დაინტერესებულ მხარების ჩართულობის გეგმის განხორციელებაზე, პასუხისმგებელი პირები არიან:

- ჰოლდინგის გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობითი საკითხებისა და მდგრადი განვითარების ხელმძღვანელი ზედამხედველობს და აკონტროლებს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის გეგმის მომზადებას, განხორციელებას და მის რეგულარულ განახლებას.
- პროექტის გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერი, კერძოდ, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია მოცემული გეგმით გაწერილ აქტივობებთან შესაბამისობის ორგანიზებასა და მართვაზე. ამზადებს, ახორციელებს და რეგულარულად ანახლებს დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის გეგმას.

ანგარიშვალდებულების გამყარების მიზნით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

- ძირითადი მაჩვენებლების (KPIs) რეგულარული მონიტორინგი, მათ შორის: საჩივრების გადაჭრის მაჩვენებელი (გადაჭრილი საჩივრების წილი 30 დღის ვადაში), დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების ინდექსი, შეხვედრებში მონაწილეობის სიხშირე - შეფასდება ყოველთვიურად;

- მონიტორინგისა და პასუხისმგებლობების განაწილების მხარდასაჭერად გამოყენებული იქნება არსებული საჩივრების განხილვის პროცედურები და შესაბამისი ფორმები, რომლებიც წარმოდგენილია დანართებში;
- ESG მაჩვენებლები შეფასდება კვარტალურად, ხოლო შედეგები დაფიქსირდება შესაბამისი შეხვედრების ოქმებში, გამოყენებული იქნება ფორმა №1;
- კომპანიის თემთან ურთიერთობის ოფიცერი (CLO), რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეებთან საკონტაქტო მთავარ პირს, გარემოსდაცვით, სოციალური და მმართველობის საკითხების ოფიცერთან ერთად პასუხისმგებელია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის განახლებასა და შესაბამისი ცვლილებების მომზადებაზე. აღნიშნული წინადადებები დაეფუძნება მონიტორინგის შედეგებს, დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან მიღებულ უკუკავშირსა და საველე დაკვირვებებს;
- დოკუმენტის განახლების საჭიროებას კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მენეჯერი განიხილავს და დადასტურებული ცვლილებები გადაეცემა ჰოლდინგის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების და მდგრადი განვითარების ხელმძღვანელს საბოლოო დამტკიცებისა და შემდგომი განხორციელებისთვის.

შესაბამისობის ჩარჩო

საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნები

- საქართველოს კონსტიტუცია (1995 წ.) უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას და პირთა უფლებას მიიღონ სრული, მიუკერძოებელი და დროული ინფორმაცია მათი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ. პროექტის კონტექსტში, საქართველოს კანონმდებლობა ამჟამად არეგულირებს მხოლოდ დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის ღონისძიებებს, რომლებიც უკავშირდება გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესს: სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებიც გამოიყენება მშენებლობის ან ექსპლუატაციის ფაზისთვის არ არის განსაზღვრული დღეისათვის.

- ევროკავშირის კანონმდებლობის საქართველოს კანონმდებლობაში ინტეგრაციასთან ერთად, პროექტში სავარაუდოდ გაჩნდებიან ახალი დაინტერესებული მხარეები, მაგალითად მდინარის აუზებისს სააგენტო, რომლებთანაც პროექტს თანამშრომლობა მოუწევს. შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის გეგმა ყოველწლიურად განახლდება.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნები

პროექტი ექვემდებარება საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს. ამ სტანდარტების შეჯამება შესაძლებელია შემდეგი სახით:

- დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია, არის მიმდინარე პროცესი, რომელიც გრძელდება პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში;
- დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა მოიცავს შემდეგს ასპექტებს:
  - (i) დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრა;
  - (ii) დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიური ურთიერთობა;
  - (iii) საჩივრების მექანიზმის არსებობა, რომელიც ყველასთვის ღიაა;
  - (iv) რეგულარული მონიტორინგი;
- დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის ღონისძიებების ბუნება და სიხშირე პროექტის

მასშტაბის, მისი პოტენციური ზემოქმედევისა და საჯარო ინტერესის დონის პროპორციულია.

ერთგულება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიმართ

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ მხარს უჭერს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs) ოპერირების, სტრატეგიული ინიციატივებისა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობების მეშვეობით. ჩვენი მიზანია მდგრადი განვითარება და გრძელვადიანი სარგებლის შექმნა საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით იმ ადგილობრივ თემებში, სადაც ვმუშაობთ.

მიუხედავად იმისა, რომ ვაცნობიერებთ ჩვიდმეტივე მიზნის მნიშვნელობას, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ შემდეგ მიმართულებებს:

- SDG 1: სიღარიბის აღმოფხვრა - პროგრამების განხორციელება, რომლებიც ამცირებენ სიღარიბეს ჩვენს ადგილობრივ თემებში.
- SDG 4: ხარისხიანი განათლება - ინკლუზიური და თანასწორი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფებისთვის.
- SDG 5: გენდერული თანასწორობა - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ჩვენს ოპერირებაში, პარტნიორობასა და ადგილობრივ თემებში.
- SDG 7: ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია - განახლებადი ენერგიის გამოყენების წახალისება და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება ადგილობრივი და გლობალური დაინტერესებული მხარეებისთვის.
- SDG 8: ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა - ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და ხარისხიანი დასაქმების შესაძლებლობების შექმნა ადგილობრივ თემებში.
- SDG 9: ინდუსტრია, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა - ინოვაციების და გამძლე ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერა, რაც სარგებელს მოუტანს ადგილობრივ რეგიონებს.
- SDG 10: უთანასწორობის შემცირება - სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა და უთანასწორობის შემცირება ჩვენს ოპერირებასა და ადგილობრივ თემებში.
- SDG 14: წყალქვეშა სიცოცხლე - წყლის ეკოსისტემების მდგრადი გამოყენებისა და დაცვის ხელშეწყობა, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც აკვატიკური რესურსები მნიშვნელოვანია.
- SDG 15: სიცოცხლე ხმელეთზე - ბიომრავალფეროვნების დაცვა და მდგრადი მიწათმოქმედების მხარდაჭერა იმ ზონებში, სადაც ჩვენი საქმიანობა პირდაპირ ზემოქმედებს გარემოზე.
- SDG 17: პარტნიორობა მიზნების მისაღწევად - თანამშრომლობის განვითარება მთავრობებთან, ორგანიზაციებთან და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან, რათა ერთობლივად მივაღწიოთ მდგრადი განვითარების მიზნებს.

ამ მიზნების ბიზნეს სტრატეგიებში ინტეგრირებით, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ ადასტურებს თავის ერთგულებას მდგრადი განვითარების მიმართ, განსაკუთრებული აქცენტით ადგილობრივ თემებზე გაზომვადი სარგებლის შექმნაზე და საერთაშორისო მდგრადობის ჩარჩოებთან შესაბამისობაზე.

დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრა

დაინტერესებული მხარეების კატეგორიები

პროექტის დაინტერესებული მხარეები მოიცავს ყველა ადამიანს, ვისაც აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესი პროექტთან მიმართებაში:

- ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები:
  - ადგილობრივი მოსახლეობა;
  - ადგილობრივი ბიზნესის მფლობელები;
- მხარეები, რომლებზეც გავლენას ახდენს ჰესის აქტივობები:
  - მეზობელი თემები და დასახლებები;
  - მიწის მესაკუთრეები;
  - მიწის ან ბუნებრივი რესურსების (საძოვარი მიწა, ტყე) მომხმარებლები;
  - ეკოსისტემის სერვისების მომხმარებლები;
- მდინარის ან წყლის მომხმარებლები;
  - მეთევზეები;
  - მდინარის წყლის მომხმარებლები (ირიგაცია, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი);
  - ნიჩბოსნები;
  - მდინარესთან დაკავშირებული ტურისტული აქტივობები (რესტორნები,სასტუმროს პიტის სახლები, სასტუმროები);
  - რეკრეაციული მიზნით მდინარის მოსარგებლეები (ცურვა, ბანაობა).
- მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება:
  - მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები;
  - ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები (და მათი რეგიონული ფილიალები), რომლებიც გასცემენ ნებართვებს და აწარმოებენ ინსპექტირებას;
  - გარემოს დაცვის, ენერგეტიკის, რეგიონული განვითარების და ინფრასტუქტურის დარგობრივი სამინისტროები;
  - ტექნიკური სერვისები: საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, ენერგო პრო;
  - პოლიცია; საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი
- არასამთავრობო ორგანიზაციები:
  - ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები;
  - პროექტის სფეროში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები; ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები;
  - აკადემიური წრეები და სამეცნიერო საზოგადოება.
- მედია:
  - ჟურნალისტები;
  - გაზეთები;
  - რადიო;
  - სატელევიზიო არხები;
  - ონლაინ საინფორმაციო პორტალები.
- დასაქმების სფერო:
  - ჰესის მიერ უშუალოდ დაქირავებული პერსონალი;
  - სამუშაოს მაძიებლები;
- მესამე მხარე:
  - საპროექტო მდინარის ქვედა ბიეფში განლაგებული ჰიდროელექტროსადგურები.

მოწყვლადი სტატუსის მატარებელი დაინტერესებული მხარეები:

მოწყვლადი სტატუსის მატარებელი დაინტერესებული მხარეები არიან ის დაინტერესებული მხარეები, რომლებზეც შესაძლოა სხვადასხვა მიზეზის გამო, პროექტმა მოახდინოს არაპროპორციული გავლენა, ან რომლებსაც შესაძლოა გაუჭირდეთ საკუთარი უფლებების დაცვა.

მოწყვლადი დაინტერესებული მხარეები არიან:

- პატიმრები, ხანდაზმული ადამიანები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა მშობლებისგან შემდგარი ოჯახები (მათ შორის ოჯახები ქალების ხელმძღვანელობით), სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ოჯახები, უნარშეზღუდული ადამიანები; დევნილები;
- ადამიანები, ვისთვისაც შესაძლოა რთული იყოს ინფორმაციაზე წვდომა, ან რომელთაც შესაძლოა სჭირდებოდეთ კონკრეტული დახმარება საკუთარი უფლებების დასაცავად;
- ადამიანები, ვისზეც იმოქმედა სხვადასხვა სახის პანდემიამ.

ჩამოთვლილ ჯგუფებთან ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად

- კომპანია უზრუნველყოფს პირდაპირ, ინდივიდუალურ კომუნიკაციას ბენეფიციარებთან (კარდაკარ შეხვედრების მიდგომის პრინციპით) და მიზნობრივად მხარს დაუჭერს განსაკუთრებით იმ პირებს, რომელთაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები ან გადაადგილების სირთულეები;
- ინფორმაცია წარდგენილი იქნება ყველასთვის ხელმისაწვდომ ფორმატში, მათ შორის - ვიზუალური, აუდიო და მარტივად გასაგები შინაარსის მატარებელი მასალების საშუალებით.
- შეხვედრები დაიგეგმება ისე, რომ მაქსიმალურად პასუხობდეს ოჯახების განსხვავებულ საჭიროებებს. წახალისებული იქნება გენდერული ჩართულობა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ქალთა ფოკუს-ჯგუფების ფორმატში.
- მოწყვლად პირებზე ორიენტირებული საჭიროებების კვლევა და დაინტერესებულ მხარეთა მატრიცა რეგულარულად განახლდება და გამოყენებული იქნება როგორც ჩართულობის ღონისძიებების დაგეგმვის, ასევე ინკლუზიური პროცესის შედეგების მონიტორინგის მიზნით

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის ღონისძიებები

მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა გატარდეს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის გეგმის განხორციელების დაწყებისას და გაგრძელდეს ბახვი 1 ჰესის ოპერირების პროცესში.

ღონისძიება	წყარო	ძირითადი შეტყობინებები	სამიზნე დაინტერესებული მხარეები
ვებგვერდი	დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა ინტერნეტის საშუალებით	- პროექტის მოკლე აღწერა - გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ზემოქმედების მართვა - საჯარო დოკუმენტაცია - საჩივრების მექანიზმი - პროექტის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერის საკონტაქტო ინფორმაცია	ყველა დაინტერესებული მხარე
ყოველთვიური ახალი ამბების ფურცელი და ბუკლეტი	დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველყოფა ბუკლეტებისა და ახალი ამბების ფურცლის გამოყენებით	- პროექტის აღწერა - კომპანიის შესახებ ინფორმაცია - გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია	ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები - თემი, მერი, გამგებელი, ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი და მედია
დაინტერესებულ მხარეთა რეესტრი	შიდა რეესტრი	- ყველა დაინტერესებულ მხარესთან ჩართულობისა და მათგან მიღებული უკუკავშირის აღრიცხვა და ჟურნალში დარეგისტრირება; - კონკრეტული შეხვედრების შესახებ შესაბამისი ჩანაწერის წარმოება	ყველა დაინტერესებული მხარე
მოწყვლადი პირების განსაზღვრა	შიდა დოკუმენტი	- იმ ოჯახების / პირების სია, რომლებიც ითვლებიან მოწყვლადად პროექტის გავლენის ზონაში, და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისთვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებები	მოწყვლადი დაინტერესებული მხარეები

ურთიერთობის კონკრეტული ღონისძიებები

ღონისძიება	წყარო	სამიზნე დაინტერესებული მხარეები	ღონისძიება
მოწყვლადი დაინტერესებული მხარეები	პროექტი აცნობიერებს, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებში არიან ადამიანები, რომლებზეც შესაძლოა პროექტს ჰქონდეს უფრო მეტი ზეგავლენა, ვიდრე სხვებზე მათი ასაკის, ეკონომიკური, ჯანმრთელობის მდგომარეობის თუ გენდერული სტატუსის მიხედვით	- მოწყვლადი დაინტერესებული მხარეები მიიღებენ სათანადო ინფორმაციას პროექტის შესახებ - პროექტის მოკლე აღწერა - გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენების მართვა - საჩივრების მექანიზმი - სოციალური პროექტები	- ოჯახები ქალების ხელმძღვანელობით - ოჯახები ხანდაზმულების ხელმძღვანელობით ≥ 60/65 წელი - დევნილები/ლტოლვილები / ეკო-მიგრანტები - ოჯახები უნარშეზღუდული ოჯახის წევრებით - ეკონომიკურად მოწყვლადი (სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები) - ადამიანები, ვიზეც იმოქმედა COVID-19-მა და/ან სხვა პანდემიამ
დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობა და ჩართულობა	ბუკლეტები, პრესრელიზები, პროექტისა და კომპანიის ვიდეომასალა, პროექტის 3D ვიზუალიზაცია	- დაინტერესებულ მხარეთა შინაარსიანი და შედეგზე ორიენტირებული ჩართულობის უზრუნველყოფა - მიმდინარე ბიომრავალფეროვნების კვლევებისა და სოციალური პროექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელება	- ყველა დაინტერესებული მხარე
სოციალური პროგრამები	შეხვედრები თემთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან	- მიღებული თხოვნებისა და წინასწარ შესწავლილი ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების საფუძველზე სოციალური პროგრამა ამჟამად განხორციელების ეტაპზეა; - სამშენებლო პროცესის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება სოციალური პროგრამის რეგულარულ განახლებასა და მონიტორინგზე.	- ადგილობრივი თემები

არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება	პროექტის ვებგვერდი ნაბეჭდი მასალები	- ჰიდროელექტროსადგურის პრეზენტაცია - გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები - საჩივრების მექანიზმი - პრეს რელიზი (მოთხოვნისამებრ)	დაინტერესებული არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები
მედია	პროექტის ვებგვერდი ნაბეჭდი მასალები	- ჰიდროელექტროსადგურის პრეზენტაცია - გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები - საჩივრების მექანიზმი - პრეს რელიზი (მოთხოვნისამებრ)	დაინტერესებული მედია

საჩივრების განხილვის მექანიზმი

პროექტის განხორციელებას შესაძლოა თან ახლდეს უთანხმოებები ან სხვადასხვა სახის დავა. აღნიშნული რისკების ეფექტიანი მართვისა და დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად, პროექტმა დანერგა მუდმივმოქმედი და გამჭვირვალე საჩივრების მართვის მექანიზმი, რომელიც მიმართულია დაინტერესებულ მხარეთა წუხილებისა და საჩივრების მიღებაზე და განხილვაზე. მექანიზმი ღიაა ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობისა და პროექტში ჩართული მუშახელისათვის.

პროექტთან დაკავშირებული საჩივრების წარდგენა შესაძლებელია შემდეგი არხებით:

- ზეპირად ან წერილობით;
- ელექტრონული ფოსტით;
- სატელეფონო ზარით;

საჩივრების მიღებაზე პასუხისმგებლები არიან პროექტის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მენეჯერი და თემთან ურთიერთობის ოფიცერი. ასევე პროექტი უზრუნველყოფს ანონიმური საჩივრების მიღებასაც. თუმცა, ფორმალური წერილობითი პასუხის მისაღებად აუცილებელია საკონტაქტო ინფორმაციის მითითება.

საჩივრის მიღების შემდეგ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მენეჯერი 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს წერილობითი დასტურის გაცემას. საბოლოო პასუხი კი მომჩივანს წარედგინება არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში; თუ საჩივარზე გაცემული პასუხი ორჯერადად ვერ დააკმაყოფილებს მომჩივანს, საქმე განსახილველად გადაეცემა ჰოლდინგის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობისა და მდგრადი განვითარების ხელმძღვანელს. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ეტაპზეც არ იქნება მიღწეული შეთანხმება, მომჩივანს ეცნობება თავის უფლებაზე, მიმართოს საკითხის გადასაწყვეტად სასამართლოს გზას.

პროცესში თემთან ურთიერთობის ოფიცრის როლი მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ მოსახლეობისთვის, ვინც უპირატესობას ანიჭებს არაფორმალურ ან ანონიმურ ფორმებში უკუკავშირის მიწოდებას. CLO უზრუნველყოფს ასეთი პირების მხარდაჭერას საჩივრების ჩამოყალიბებასა და წარდგენაში. მიღებული უკუკავშირი თავსდება შესაბამის ფორმატში და იგზავნება გარემოსდაცვით, სოციალური და მმართველობის საკითხების მენეჯერთან აღრიცხვის მიზნით.

ყველა მიღებული განცხადება (საჩივარი, თხოვნა, პროტესტი) რეგისტრირდება საჩივრების, მოთხოვნებისა და პროტესტების ჟურნალში, ხოლო მათი განხილვა ხდება საჩივრების მართვის გეგმის შესაბამისად.

ამასთან, კონტრაქტორები ვალდებული არიან ნებისმიერი ფორმის საჩივარი ან შეკითხვა, რაც მათ მიიღეს, დაუყოვნებლივ გადასცენ შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის გუნდს შემდგომი რეაგირებისთვის. საჩივრების მექანიზმის ეფექტიანობა რეგულარულად გადამოწმდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ფარგლებში.

დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის რეესტრი

დაინტერესებულ მხარეებთან წარმატებული ურთიერთობა დამოკიდებულია უწყვეტ ძალისხმევაზე, საქმიანობის მაჩვენებლების მონიტორინგსა და ანალიზზე, და შეცვლილ გარემოებებთან და დაინტერესებულ მხარეთა ინფორმაციულ საჭიროებებთან ადაპტაციაზე.

მუდმივად იწარმოება დაინტერესებულ მხარეთა ყველა მოთხოვნის, შეკითხვის და საჩივრის სისტემატური აღრიცხვა.

მონიტორინგი

პროექტი დანერგავს, მონიტორინგს გაუწევს და გააანალიზებს დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის გეგმის ეფექტიანობას. დაინტერესებული მხარეებთან ჩართულობის გეგმის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, გამოყენებული იქნება შემდეგი ყოველთვიური ინდიკატორები:

ინდიკატორი	თვის ჭრილში	გაერთიანებული მონაცემები	გენდერის მიხედვით გაერთიანებული მონაცემები	
			დიახ	არა
1. ჩატარებული ფორმალური შეხვედრების რაოდენობა			X	
2. მიღებული შეკითხვების რაოდენობა			X	
3. დახურული შეკითხვების რაოდენობა			X	
4. საშუალო დრო შეკითხვებზე საპასუხოდ				X
5. შეკითხვების %, რომლებსაც 10 დღეში გაეცა პასუხი			X	
6. საჩივრებად გადაკვალიფიცირებული შეკითხვების %:			X	
7. სასამართლო შემთხვევების რაოდენობა: დაწყებული დახურული			X	
8. სტუმრების რაოდენობა სააგრეგატე შენობაში, განხილული თემები			X	
9. გადაუჭრელი საჩივრები			X	
10. პუბლიკაციების / გადაცემების რაოდენობა პროექტის განხორციელების შესახებ ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ მედიაში;			შეუსაბამოა	შეუსაბამოა

გენდერული წონასწორობა ჩართულობის ჭრილში

პროექტის გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერი მონიტორინგს გაუწევს ქალთა მონაწილეობას პროექტის მიერ ორგანიზებულ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ღონისძიებებში. თუ სისტემატური დისბალანსი დაფიქსირდება ზოგადად ან ზოგიერთი კონკრეტული ტიპის ღონისძიებებისთვის, მენეჯერი მიიღებს ზომებს, რათა მოხდეს ქალების და კაცების თანაბარი ჩართულობა.

დოკუმენტის გადახედვა

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის გადახედვა მოხდება ყოველწლიურად იანვრის ბოლოს (ხოლო განახლება - საჭიროების შემთხვევაში) პროექტის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხზებზე პასუხისმგებელი პერსონალის მიერ.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა

ფორმა 1: შეხვედრის ოქმი

თარიღი: _____ ადგილი: _____

ოქმი მოამზადა: _____

<u>მონაწილეები (გვარი, სახელი, თანამდებობა):</u> საერთო რაოდენობა: ____ მამრ:____ მდედრ:____

-

-

დაურთეთ მონაწილეთა სრული სია, თუ შესაძლებელია:

<u>შეხვედრის მიზანი და დღის წესრიგი:</u>

-

-

<u>განხილული საკითხები:</u>

-

-

<u>კომპანიის მიერ წამოჭრილი პუნქტები:</u>

-

-

<u>სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოჭრილი პუნქტები:</u>

-

-

<u>მიღებული გადაწყვეტილებები და შემდგომი ღონისძიებები:</u>

-

-

<u>კომპანიის მიერ შეხვედრის შედეგად განსახორციელებელი ღონისძიებები:</u>

-

-

ფორმა 2: საჩივრის ფორმა

ბახვი 1 ჰესის პროექტის საჩივრის ფორმა			
ნაწილი ა: საჩივრის დეტალები			
საჩივრის სარეგისტრაციო ნომერი			
მიღების თარიღი		*საჩივრის შეტანის მეთოდი* სიტყვიერად ☐ წერილობით ☐ სხვა (მიუთითეთ)	
ადგილი			
დასახლებული პუნქტი			
საჩივრის სახელი		ორიგინალი (თეთრი ასლი) - ოფიციალური სარგებლობისთვის ვარდისფერი ასლი - განმცხადებელს ყვითელი ასლი - უბრუნდება განმცხადებელს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ	
საიდენტიფიკაციო ნომერი			
მომჩივნის მისამართი			
მომჩივნის ტელეფონის ნომერი			
საკადასტრო მიწის ნაკვეთის ნომერი			
შეავსო (სახელი, გვარი)			
საჩივრის კატეგორია: წვდომა ☐ დაზიანება ☐ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა ☐ საარსებო საშუალებები ☐ არეულობა ☐ ჰაერის ხარისხი ☐პერსონალი ☐ სხვა (დააზუსტეთ)			
ნაწილი ბ: საჩივრის დეტალები			
ინციდენტის თარიღი	*თანმხლები დოკუმენტაცია*		
საჩივრის აღწერა			
ამ ნაწილს ხელს მოაწერს მომჩივანი, რომელიც მიუთითებს, რომ ეთანხმება გადაწყვეტილებას ზემოთ აღწერილი საჩივრის შესახებ: *სახელი და გვარი* _____ *ხელმოწერა* _____			
ნაწილი გ: გადაწყვეტილების დეტალები			
განსაზღვრეთ განხორციელებული გადაუდებელი ქმედებები			
საჩივრის შეფასება შეჯამებული სახით			
გამასწორებელი ქმედება და დადასტურება			*შესრულების თარიღი*
1			
2			
3			

დადასტურების თარიღი	ხელმოწერა	სახელი და გვარი

ნაწილი დ: დადასტურება მომჩივნის მიერ
ამ ნაწილს ხელს მოაწერს მომჩივანი, რომელიც მიუთითებს, რომ ეთანხმება გააწყვეტილებას ზემოთ აღწერილი საჩივრის შესახებ: სახელი და გვარი _____ ხელმოწერა _____

ფორმა 3: საჩივრის პასუხის ფორმა

<u>**პასუხი საჩივარზე:**</u>
[ჩასვით თარიღი]

[ჩასვით სახელი და გვარი]
[ჩასვით მისამართი]

კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი: [ჩასვით, თუ არსებობს]
მომჩივნის სარეგისტრაციო ნომერი: [ჩასვით, თუ არსებობს]

კომპანიის საკონტაქტო დეტალებიელ. ფოსტა და ტელეფონი): [ჩასვით]

ძვირფასო [ჩასვით სახელი/გვარი]

სათაური, მაგ., საჩივარი … შესახებ

მადლობას გიხდით რომ შეგვატყობინეთ თქვენი შეშფოთების შესახებ [თქვენს წერილში/თქვენს ელ. წერილში [თარიღი].

რამდენადაც ჩვენთვის გასაგებია, თქვენ გამოხატავთ თქვენს შეშფოთებას [მიუთითეთ, თუ როგორ გესმით საჩივარში მიტითებული პრობლემა და მიუთიტეთ რეგისტრაციის ნომერი].

ჩვენ დეტალურად გამოვიკვლევთ თქვენს მიერ წამოჭრილ საჩივარს და მოხარულები ვიქნებით, თუკი შევძლებთ შეხვედრას, თქვენს მიერ წამოჭრილი პრობლემის განსახილველად. [შემოგვთავაზეთ თარიღი და/ან მოგვაწოდეთ საკონტაქტო ინფორმაცია.]

ჩვენ დროულად განვიხილავთ თქვენს მიერ წამოჭრილ საკიტხებს და დაგიკავშირდებით პასუხით [ჩასვით პასუხის სავარაუდო დრო არა უმეტეს 28 სამუშაო დღისა]. ამასთანავე, გთხოვთ განმეორებით დაგვიკავშირდეთ, საჭიროებისამებრ, ელექტრონული ფოსტა და ტელეფონის ნომერზე, რომელიც მითითებულია ზემოთ.

პატივისცემით,

სახელი, გვარი
თანამდებობა